**ავტორი:** ნინო ფეტვიაშვილი

**სამიზნე აუდიტორია:**

რუსულის, როგორც
უცხოური ენის მასწავლებლები

# ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა

თემა:

***Использование солнечного тепла в прошлые века***

რუსული, როგორც უცხოური ენა

პრაქტიკული გამოყენება:

**მასწავლებელი გამოიყენებს ინტერდისციპლინური პროექტის ,,ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“ განხორციელებისას**

რესურსის ტიპი: **გზამკვლევი - რუსული**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულია ინტერდისციპლინური **პროექტი „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“,** რომელიც გათვალისწინებულია **მე-8** კლასში განსახორციელებლად

**წინამდებარე გზამკვლევი დაეხმარება რუსულის, როგორც**

**უცხოური ენის მასწავლებლებს თავიანთი საგნობრივი ნაწილის წარმართვაში**

## *რეკომენდაციები მასწავლებელს:*

- დროის ფაქტორიდან გამომდინარე, შეგიძლიათ თავად შეარჩიოთ აქტივობები. აქტივობები ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ რომელიმეს გამოტოვება არ არღვევს სტრუქტურას;
- სავალდებულოა აქტივობები, რომლებიც მე-8 კლასის მასალას და სამიზნე ცნებებს უკავშირდება, ანუ რომლებიც საკომუნიკაციო უნარების განვითარებასთანაა კავშირში.

**რა არის კლიმატმეგობრული სკოლა?**

- მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ შემდეგი 1 თვის განმავლობაში მოუწევთ ახალ პროექტზე „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“ მუშაობა;
- იმისათვის, რომ ჩვენი სკოლა გავხადოთ კლიმატმეგობრული, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ თუ რამ განაპირობა 21-ე საუკუნეში კლიმატმეგობრული სკოლების დაარსება;
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თუ რას ნიშნავს „კლიმატმეგობრული სკოლა“ და მოჰყავს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები.

რუსული, როგორც უცხოური ენა

***აქტივობები გათვლილია 6 კვირაზე (12 საათი).***

- *ამ ექვსი კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა გაარჩიონ ტექსტები, იმუშაონ სავარჯიშოებზე და შეასრულონ შემაჯამებელი დავალება (ტესტი);*
- *აქტივობები გადაანაწილეთ კლასის საჭიროებების გათვალისწინებით;*
- *წარმოდგენილია 2 ტექსტი, თუმცა მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ერთი, მოსწავლეთა მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;*
- *რეკომენდებულია, ტექსტზე მუშაობისას მასწავლებელი დაეყრდნოს გლობალური და სელექციური კითხვის სტრატეგიას.*

**აქტივობა 1.** ვარაუდების გამოთქმა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეხედონ ფოტოებს და ივარაუდონ, რაზე იქნება ტექსტი.

Посмотри на фотографии. Что ты видишь?

Как ты думаешь, о чем будет текст?






**აქტივობა 2.** ლექსიკაზე მუშაობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ბარათებზე დატანილ ლექსიკურ ერთეულებს ტექსტიდან. დავალება: შეეცადონ, ამოიცნონ სიტყვების მნიშვნელობა ან დაუკავშირონ ფოტოებს.

**Постарайтесь понять значение слов и словосочетаний без словаря.**

**Крестьяне –** люди, которые работают на земле и живут в деревне.

**Жилище -** место, где живут люди.

**Ставни -** устройство для прикрытия окна.

**Луч -** узкая полоса света

**Ловить** – (ფოტო)

**Обогревать** - (ფოტო)

**Тростниковые крыши** - (ფოტო)

**Помогать** - (ფოტო)

**Сохранять -** (ფოტო)

**Движение Солнца -** (ფოტო)

**Восток -** (ფოტო)

**Запад -** (ფოტო)

რუსული, როგორც უცხოური ენა

**აქტივობა 3.** მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს, ინიშნავენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს - რის შესახებაა ტექსტი, მხატვრულია თუ საინფორმაციო და ა.შ.. მოსწავლეები ცდილობენ, ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით, ამოიცნონ ტექსტის შინაარსი.

## Использование солнечного тепла в прошлые века в Древнем Китае

**(6000 лет до нашей эры)**

К**рестьяне** Китая в своих **жилищах** направляли **ставни** на южную сторону. Это делали для того, чтобы ловить **лучи солнца** зимой, чтобы они **обогревали** внутреннюю часть дома. Свисающие **тростниковые крыши** в период летнего солнца **помогают** внутри жилища **сохранять** прохладу даже в самые жаркие дни.

А спустя 2000 лет после этого, китайцы стали изучать **движение Солнца** уже с научным интересом. Архитекторы древних китайских городов стали строить основные улицы городов с **востока на запад**, чтобы сохранить зимнюю солнечную энергию для отопления своих домов. В течении **тысячелетий** этот принцип при строительстве городов соблюдался в Китае.

**აქტივობა 4.** მოსწავლეები ავსებენ ცხრილს და პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს.

რუსული, როგორც უცხოური ენა

| N | Предложения | Да | Нет |
|---|---|---|---|
| **1.** | Китайские крестьяне ловили лучи солнца, чтобы обогреть дом. | | |
| **2.** | Тростниковые крыши помогают летом сохранять тепло. | | |
| **3.** | Китайцы изучали движение солнца. | | |
| **4.** | Архитекторы древних китайских городов строили улицы с востока на запад | | |
| **5.** | Этот принцип строительства соблюдают и сейчас. | | |

**აქტივობა 5.** Восстановите предожения.

1. Крестьяне направляли _____ на южную сторону.
2. Тростниковые крыши летом _____ тепло.
3. Лучи солнца _____ внутреннюю часть дома.
4. Тростниковые крыши _____ внутри жилища сохранять прохладу даже в самые жаркие дни.
5. Этот принцип соблюдался при строительстве _____ .

**აქტივობა 6.** მოსმენა

მოსწავლეები ისმენენ მათთვის უკვე ნაცნობ ტექსტს და ავსებენ გამოტოვებულ ადგილებს. ბოლოს ამოწმებენ პასუხებს.

## Использование солнечного тепла в прошлые века в Древнем Китае

В новый каменный _____ крестьяне Китая в своих _____ направляли ставни на южную сторону. Это делали для того, чтобы _____ лучи солнца зимой, чтобы они обогревали внутреннюю часть _____. Свисающие тростниковые _____ в период летнего _____ помогают внутри жилища сохранять прохладу даже в самые _____ дни.

А спустя 2000 лет после этого _____ стали изучать движение Солнца уже с научным интересом. _____ древних китайских городов стали строить основные _____ городов с востока на запад, чтобы _____ зимнюю солнечную энергию для _____ своих домов. В течении тысячелетий этот _____при строительстве городов соблюдался в Китае.

რესურსი, როგორც ეკონომიური ენა

**აქტივობა 7.**

მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს, ინიშნავენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს - რის შესახებაა ტექსტი, მხატვრულია თუ საინფორმაციო და სხვ. მოსწავლეები ცდილობენ ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ამოიცნონ ტექსტის შინაარსი.

## Солнечная Архитектура Древней Греции (500 -100 лет до нашей эры)

Еще Сократ выступал с утверждением, что дома, **наполненные** солнцем, представляют собой **ценность** для комфорта людей и животных. Мудрец Аристотель учил своих студентов как разрабатывать проекты домов, чтобы они могли максимально использовать энергию солнца, и зимой в том числе. А в жаркие месяцы, наоборот, нужны такие дома, что сохраняют **тень**. Археологические **раскопки** в Греции подтвердили, что современники **мудрецов** действительно строили дома согласно этим советам.

Различные **сооружения** и здания в таких городах, как Афины, а также Делос, Олинфус, Приене и многие другие, и домовладения в сельскохозяйственных районах показывают, что солнечная архитектура при строительстве в Древней Греции внедрялась повсеместно как в самой Греции, так и в ближних территориях.

**აქტივობა 8.** ლექსიკაზე მუშაობა. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ბარათებზე დატანილ ლექსიკურ ერთეულებს ტექსტიდან. დავალების შესრულება სასურველია ტექსტის წაკითხვამდე.

**დავალება:** ამოიცნონ სიტყვების მნიშვნელობა ან დაუკავშირონ ფოტოებს.

**Постарайтесь понять значение слов и словосочетаний без словаря.**

***Наполненный***

***Тень***

***Сооружения***

***Ценность***

***Раскопки***

***Мудрецы***





**აქტივობა 9. შემაჯამებელი კომპლექსური ტიპის დავალება.**

**<u>პოსტერის/კოლაჟის</u> პრეზენტაცია**

ნახატების/ფოტოებისა და განმარტებითი წარწერების გამოყენებით, შექმენით და <u>ზეპირად წარმოადგინეთ</u> <u>პოსტერი/კოლაჟი</u> შემდეგ <u>თემატიკაზე:</u> **Использование солнечного тепла в прошлые века.**

გამოსვლისას უნდა ისაუბროთ:

- როგორ გამოიყენებოდა მზის ენერგია შუა საუკუნეებში.
- რა იყო შენთვის ყველაზე საინტერესო განხილულ საკითხებში.

დავალების წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:

- <u>რა სტრატეგიები</u> გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე;
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

**პრაქტიკული რჩევები პრეზენტაციის მოსამზადებლად:**

გაიხსენეთ გაკვეთილებზე განხილული საკითხები და გაეცანით შემდეგ ბმულებს:

https://altenergiya.ru/history/da-budet-svet-part1.html#google_vignette

https://energo.house/sol/ispolzovanie-energii-solntsa-na-zemle.html

რუსული, როგორც უცხოური ენა

**შეფასების კრიტერიუმები:**

| N | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| 1. | მარტივად შედის კომუნიკაციაში და ადეკვატურად პასუხობს შეკითხვებს | 2 |
| 2. | საუბრობს მზის ენერგიის გამოყენებაზე შუა საუკუნეებში | 2 |
| 3. | მკაფიოდ აყალიბებს ძირითად აზრს, რომელსაც ამყარებს არგუმენტებითა და მაგალითებით | 2 |
| 4. | იყენებს ნასწავლ გრამატიკულ კონსტრუქციებს და სწორად იყენებს შესაბამის ლექსიკას | 2 |
| 5. | იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს; შეუძლია იმსჯელოს არჩეული სტრატეგიების უპირატესობაზე და მათი გამოყენების თანმიმდევრობაზე | 2 |